


ფინანსური ანგარიშგება და
პრაქტიკოსის ანგარიში ფინანსური
ანგარიშგების კომპილაციის შესახებ

შპს ლინიეტ ჯორჯია

2024 წლის 31 დეკემბერი



სარჩევი

პრაქტიკოსის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების კომპილაციის შესახებ	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	6
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	8
1. ოპერაციების ბუნება და ზოგადი ინფორმაცია	8
2. შედგენის საფუძველი	8
2.1. განცხადება შესაბამისობის თაობაზე	8
2.2. მომზადების საფუძველი	8
2.3. საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა	9
3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები	9
3.1. უცხოური ვალუტა	9
3.2. ძირითადი საშუალებები	9
3.3. ძირითადი საშუალებების გაუფასურება	10
3.4. არამატერიალური აქტივები	10
3.5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10
3.6. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11
3.7. იჯარა	11
3.8. შემოსავალი	11
3.9. გადასახადები	11
4. ძირითადი საშუალებები	13
5. წინასწარ გადახდები და სხვა მოკლევადიანი აქტივები	14
6. ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	14
7. სავაჭრო და სხვა მისაღები ვალდებულებები	14
8. სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15
9. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	15
10. ფინანსური რისკის ფაქტორები	15

პრაქტიკოსის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების კომპილაციის შესახებ

შპს გრანტ თორნტონ

ს/ნ: 200136600

საქართველო, თბილისი-0144

ქეთევან წამებულის გამზირი, № 1

ტ: + 995 322 604 406

Grant Thornton LLC

I/N: 200136600

54, Ketevan Tsamebuli avenue,

Tbilisi-0144, Georgia

T: + 995 322 604 406

შპს „ლინიეტ ჯორჯიას“ ხელმძღვანელობას

კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემთა ბაზაში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც არის კლიენტის მფლობელობაში არსებული ბაზა, შევადგინეთ შპს „ლინიეტ ჯორჯიას“ („კომპანია“) თანმხლები ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი ნაკადების ანგარიშგებას აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისთვის, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამებას და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

კომპილაციური გარიგება შევასრულეთ დაკავშირებული მომსახურებების საერთაშორისო სტანდარტის (დმსს) 4410 (გადასინჯული), „კომპილაციური გარიგებების“ შესაბამისად.

ჩვენ გამოვიყენეთ ჩვენი ცოდნა და გამოცდილება ბუღალტერიასა და ფინანსურ ანგარიშგებაში, რათა დაგზმარებოდით მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაში. გარიგების შესრულებისას დავიცავით შესაბამისი ეთიკური მოთხოვნები, მათ შორის: პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციისა და საქმისადმი კეთილსინდისიერი მიდგომის.

ვინაიდან, კომპილაციის გარიგება არ არის მარწმუნებელი გარიგება, ჩვენ არ გამოვხატავთ აუდიტორულ მოსაზრებას ან მიმოხილვის მოსაზრებას იმის თაობაზე, არის თუ არა მომზადებული ეს ფინანსური ანგარიშგება მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

პაატა შურღაია

მმართველი პარტნიორი

2025 წლის 29 სექტემბერი



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ქართული ლარი	შენიშვნა	წელი 2024	წელი 2023	წელი 2022
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	<u>4</u>	397,871	425,491	244,670
არამატერიალური აქტივები		6,158	6,708	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		404,029	432,200	244,670
მიმდინარე აქტივები				
გადახდილი ავანსები	<u>5</u>	134,922	174,550	44,286
ბიუჯეტში გადახდილი ავანსები		4,693	59,987	37,192
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		848,084	712,060	655,599
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	<u>6</u>	622,438	301,900	345,096
სულ მიმდინარე აქტივები		1,610,137	1,248,497	1,082,173
სულ აქტივები		2,014,166	1,680,697	1,326,842
ვალდებულებები და კაპიტალი				
კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება		1,543,375	1,237,785	879,907
სულ კაპიტალი		1,543,375	1,237,785	879,907
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	<u>7</u>	7,133	30,683	27,309
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		463,658	412,229	419,626
სულ მიმდინარე ვალდებულებები		470,791	442,912	446,934
მოთიანი ვალდებულებები		470,791	442,912	446,934
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		2,014,166	1,680,697	1,326,842




ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ქართული ლარი	შენიშვნა	წელი 2024	წელი 2023	წელი 2022
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	<u>4</u>	397,871	425,491	244,670
არამატერიალური აქტივები		6,158	6,708	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		404,029	432,200	244,670
მიმდინარე აქტივები				
გადახდილი ავანსები	<u>5</u>	134,922	174,550	44,286
ბიუჯეტში გადახდილი ავანსები		4,693	59,987	37,192
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		848,084	712,060	655,599
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	<u>6</u>	622,438	301,900	345,096
სულ მიმდინარე აქტივები		1,610,137	1,248,497	1,082,173
სულ აქტივები		2,014,166	1,680,697	1,326,842
ვალდებულებები და კაპიტალი				
კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება		1,543,375	1,237,785	879,907
სულ კაპიტალი		1,543,375	1,237,785	879,907
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	<u>7</u>	7,133	30,683	27,309
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		463,658	412,229	419,626
სულ მიმდინარე ვალდებულებები		470,791	442,912	446,934
მთლიანი ვალდებულებები		470,791	442,912	446,934
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		2,014,166	1,680,697	1,326,842

სრული შემოსავლის ანგარიშგება

ქართული ლარი	შენიშვნები	წელი 2024	წელი 2023
შემოსავალი რეალიზაციიდან		14,545,996	14,281,849
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება		(7,307,732)	(7,505,829)
საერთო მოგება		7,238,264	6,776,020
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები			
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	გ	(6,787,778)	(6,233,105)
სულ საოპერაციო ხარჯები		(6,787,778)	(6,233,105)
საოპერაციო მოგება		450,486	542,915
საპროცენტო შემოსავალი		6,159	-
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)		(158,589)	(158,678)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი/შემოსავალი		58,204	(26,570)
მოგება გადასახადამდე		356,260	357,668
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა მოგება პერიოდისთვის		356,260	357,668
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სხვა სრული შემოსავალი პერიოდისთვის		356,260	357,668



სრული შემოსავლის ანგარიშგება

ქართული ლარი	შენიშვნები	წელი 2024	წელი 2023
შემოსავალი რეალიზაციიდან		14,545,996	14,281,849
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება		(7,307,732)	(7,505,829)
საერთო მოგება		7,238,264	6,776,020
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები			
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(6,787,778)	(6,233,105)
სულ საოპერაციო ხარჯები		(6,787,778)	(6,233,105)
საოპერაციო მოგება		450,486	542,915
საპროცენტო შემოსავალი		6,159	-
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)		(158,589)	(158,678)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი/შემოსავალი		58,204	(26,570)
მოგება გადასახადამდე		356,260	357,668
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა მოგება პერიოდისთვის		356,260	357,668
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სხვა სრული შემოსავალი პერიოდისთვის		356,260	357,668

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

ქართული ლარი	წელი 2024	წელი 2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის მოგება მოგების გადასახადამდე	356,260	357,668
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	115,366	88,448
ზარალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	6,913	27,623
წმინდა საკურსო სხვაობა	111,885	158,678
საოპერაციო შედეგები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე	590,424	632,417
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(112,585)	(56,253)
ცვლილება წინასწარ გადახდებში და სხვა მოკლევადიან აქტივებში	39,628	(130,264)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(22,700)	3,374
ცვლილება საგადასახდო აქტივებში	4,625	(22,794)
ცვლილება თანამშრომელთა მიმართ ვალდებულებაში	62,332	(7,397)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	561,724	419,083
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შესაძენად გადახდილი თანხები	(94,108)	(303,601)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(94,108)	(303,601)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა		
ფულადი სახსრების ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	301,900	345,096
ვალუტის გავლენა ფულზე	(147,078)	(158,678)
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	622,438	301,900



ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

ქართული ლარი	წელი 2024	წელი 2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის მოგება მოგების გადასახადამდე	356,260	357,668
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	115,366	88,448
ზარალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	6,913	27,623
წმინდა საკურსო სხვაობა	111,885	158,678
საოპერაციო შედეგები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე	590,424	632,417
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(112,585)	(56,253)
ცვლილება წინასწარ გადახდებში და სხვა მოკლევადიან აქტივებში	39,628	(130,264)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(22,700)	3,374
ცვლილება საგადასახადო აქტივებში	4,625	(22,794)
ცვლილება თანამშრომელთა მიმართ ვალდებულებაში	62,332	(7,397)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	561,724	419,083
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შესაძენად გადახდილი თანხები	(94,108)	(303,601)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(94,108)	(303,601)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა		
ფულადი სახსრების ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	301,900	345,096
ვალუტის გავლენა ფულზე	(147,078)	(158,678)
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	622,438	301,900

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

ქართული ლარი	დაგროვილი მოგება/ (ზარალი)	სულ
2021 წლის 31 დეკემბერი	-	-
წლის მოგება	879,907	879,907
სულ გაერთიანებული მოგება	879,907	879,907
2022 წლის 31 დეკემბერი	879,907	879,907
წლის მოგება	357,878	357,878
სულ გაერთიანებული მოგება	1,237,785	1,237,785
2023 წლის 31 დეკემბერი	1,237,785	1,237,785
წლის მოგება	356,260	356,260
სულ გაერთიანებული მოგება	1,543,375	1,543,375
2024 წლის 31 დეკემბერი	1,543,375	1,543,375



საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

ქართული ლარი	დაგროვილი მოგება/ (ზარალი)	სულ
2021 წლის 31 დეკემბერი	-	-
წლის მოგება	879,907	879,907
სულ გაერთიანებული მოგება	879,907	879,907
2022 წლის 31 დეკემბერი	879,907	879,907
წლის მოგება	357,878	357,878
სულ გაერთიანებული მოგება	1,237,785	1,237,785
2023 წლის 31 დეკემბერი	1,237,785	1,237,785
წლის მოგება	356,260	356,260
სულ გაერთიანებული მოგება	1,543,375	1,543,375
2024 წლის 31 დეკემბერი	1,543,375	1,543,375

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ოპერაციების ბუნება და ზოგადი ინფორმაცია

შპს ლინიატე ჯორჯია (შემდგომში „კომპანია“) დარეგისტრირდა 2022 წლის მარტში, როგორც მეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (რეგისტრაციისა და საგადასახადო ID: 405511593) რეგისტრირებული თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ საქართველოს რეგულაციების შესაბამისად და მდებარეობს საქართველოში. კომპანიამ 2022 წლის 1 ოქტომბერს მიიღო „საერთაშორისო კომპანიის სტატუსი“ საქართველოს მთავრობისგან.

კომპანიის რეგისტრაციის მისამართია: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, მიხეილ თამარაშვილის გამზირი, N13თ, სართული N3, ბლოკი "ა", საოფისე ფართი

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და პროგრამული პროდუქტების შექმნასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევა. კომპანიის დამფუძნებელი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის:

დამფუძნებელი	რეგისტრაციის ადგილი	2024 წლის 31 დეკემბერი
შპს „ლინიატე“ (ID – 5770438)	აშშ	100%

2024 წლის განმავლობაში კომპანიაში თანამშრომლების საშუალო რაოდენობა იყო 89 ადამიანი.

2024 საანგარიშგებო წლისთვის საქართველოსი მოქმედი შესაბამისი რეგულაციების მიხედვით კომპანია წარმოადგენს მესამე ზომითი კატეგორიის საწარმოს.

2. შედეგის საფუძველი

2.1. განცხადება შესაბამისობის თაობაზე

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს-ს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის (მსს ფასს) ძირითადი მოთხოვნების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ კომპანია ოპერირებს მოქმედი საწარმოს პრინციპით.

2.2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდის საფუძველზე და ისტორიული ღირებულების კონვენციის შესაბამისად.

2.3. საოპერაციო და ანგარიშების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი (“ლარი”), რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, ვინაიდან ეს ვალუტა საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ძირითადი მოვლენებისა და ტრანზაქციების ეკონომიკურ შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში და აქ წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია ლარამდე.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

3.1. უცხოური ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, უცხოურ ვალუტაში არსებული ტრანზაქციები გადაიყვანება საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული გაცვლითი კურსით, რომელიც 2024 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.8068 ლარს და ერთი ევრო შეადგენს 2.9306 ლარს. არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ფულადი მუხლებისთვის ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.2. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამოიყენება ადმინისტრაციული მიზნებისთვის და მოსალოდნელია, რომ გამოყენებულ იქნება ერთ წელზე მეტი პერიოდის განმავლობაში აისახება თვითღირებულებით გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იმპორტის გადასახდელებს და სხვა დაუბრუნებად გადასახდელებს და სხვა პირდაპირ მისაკუთვრებულ ხარჯებს. როდესაც ძირითადი საშუალებები მოიცავს სხვადასხვა ძირითად კომპონენტს, რომლებსაც აქვთ განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა, ისინი აღირიცხება, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული ელემენტები.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიქმნება ძირითადი საშუალებების გასხვისებიდან ან გაყიდვიდან, განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარებულია მოგებაში ან ზარალში.

ცალ-ცალკე აღრიცხული ძირითადი საშუალებების კომპონენტის შეცვლაზე გაწეული ხარჯი კაპიტალიზდება ჩამოწერილი კომპონენტის საბალანსო ღირებულებით. კიდევ ერთი შემდგომი ხარჯი კაპიტალიზდება, თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი წარმოიქმნება აღნიშნული დანახარჯებიდან. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის რემონტი და კეთილმოწყობა, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში გაწეული ხარჯის ოდენობის შესაბამისად.

ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან ემატება სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას წრფივი მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება.

კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს და სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია 5 წლით.

3.3. ძირითადი საშუალებების გაუფასურება

ძირითადი საშუალებების გაუფასურება განიხილება, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილება მიუთითებს იმაზე, რომ მათი საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი თანხა არის ყველაზე მაღალი წმინდა გასაყიდ ფასსა და გამოყენების ღირებულებას შორის.

თუ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. ანაზღაურებადი თანხა არის ყველაზე მაღალი წმინდა გასაყიდ ფასსა და გამოყენების ღირებულებას შორის. გაუფასურების ზარალი აღიარებულია ხარჯად დაუყოვნებლივ.

როდესაც გაუფასურების ზარალი შემდგომში საპირისპიროდ იცვლება, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება იზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის გაუფასურების გარეშე. გაუფასურების ზარალის საპირისპიროდ ცვლილება აღიარებულია შემოსავლად დაუყოვნებლივ.

3.4. არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაცია ირიცხება მოგება/ზარალში ან დაემატება სხვა აქტივის ღირებულება წრფივი მეთოდით არამატერიალური აქტივების სავარაუდო სასარგებლო სასიცოცხლის ვადის მიხედვით.

3.5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით და შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით.

გაყიდვების უმეტესობა ხდება ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორული დავალიანება არ წარმოშობს პროცენტს.

3.6. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებულია ტრანზაქციის ფასით და შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. ყველა სავაჭრო ვალდებულება ნორმალური საკრედიტო პირობებით არის განსაზღვრული და დამატებითი პროცენტი არ ერიცხება.

3.7. იჯარა

იჯარა, რომელშიც მესაკუთრის მიერ დაცულია საკუთრების ყველა რისკი და სარგებელი, კლასიფიცირდება, როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარით განხორციელებული გადახდები გადადის მოგება/ზარალში დარიცხვის მეთოდით.

ქონების და აღჭურვილობის იჯარა, სადაც დამქირავებელს გააჩნია საკუთრების ყველა რისკი და სარგებელი, კლასიფიცირდება როგორც ფინანსური იჯარა. ფინანსური იჯარა კაპიტალიზდება იჯარის დაწყებისთანავე, იჯარით გაცემული ქონების სამართლიანი ღირებულებისა და იჯარის მინიმალური გადახდების დღევანდელი ღირებულებით.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

3.8. შემოსავალი

შემოსავალი ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით და წარმოადგენს საქონლისა და მომსახურების ნორმალურ მსვლელობაში მიწოდებულ თანხებს, ფასდაკლებების, მოცულობის ფასდაკლებისა და გაყიდვებთან დაკავშირებული გადასახადების გარეშე.

მომსახურების გაწევა

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და პროგრამული პროდუქტების შექმნასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევა. კომპანია ძირითადად მომსახურებას უწევს ლინიეტის სათაო ოფისს ამერიკაში.

ასეთი მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც სამუშაოს შესრულება მომსახურების სპეციფიკაციების შესაბამისად, კლიენტთან შეთანხმებული და დასრულებულია. შესაბამისად, შემოსავალი აღიარდება მას შემდეგ, რაც შესრულებული სამუშაოს (მომსახურების) აქტს ხელს მოაწერს ორივე მხარე, იმ პირობით, რომ შესაძლებელია შემოსავლისა და მასთან დაკავშირებული ხარჯების საიმედოდ შეფასება და მოსალოდნელია გარიგებასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოღინება კომპანიაში.

3.9. გადასახადები

საქართველოში მოქმედი დაბეგვრის მოდელი, რომელიც მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან („მოგების გადასახადით დაბეგვრის ესტონური მოდელი“) გულისხმობს მოგების გადასახადის ნულოვან განაკვეთს გაუნაწილებელ მოგებაზე და 15%-იან მოგების გადასახადის განაკვეთს განაწილებელ მოგებაზე. შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იხდიან კორპორაციულ საშემოსავლო გადასახადს მოგების განაწილებაზე (მოგება, რომელიც ნაწილდება აქციონერებზე დივიდენდების სახით) და ცალკეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს შემოსავლის არაპირდაპირ განაწილებად (სარგებელი, საჩუქრები, გადახდები, არასაბაზრო პირობებით განსაზღვრული ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და ა.შ.).

კორპორატიული მოგების გადასახადი, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების განაწილებიდან, აღიარებულია ხარჯად იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადებულია დივიდენდები, მიუხედავად რეალური გადახდის თარიღისა ან იმ პერიოდისა, რომელზედაც ნაწილდება დივიდენდები. გადასახადის განაკვეთი არის წმინდა განაწილების თანხის 15/85.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. აქედან გამომდინარე, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები, როგორც ეს განსაზღვრულია ბასს 12-ში საშემოსავლო გადასახადები, არ არის წარმოშობილი 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ.

კომპანიას საქართველოს მთავრობის მიერ მინიჭებული აქვს საერთაშორისო კომპანიის სტატუსი, რადგან ის ძირითად შემოსავალს იღებს სტატუსის ფარგლებში ნებადართული საქმიანობიდან, როგორიცაა პროგრამული უზრუნველყოფა, ვებ-გვერდების წარმოება და მიწოდება. საერთაშორისო კომპანიის სტატუსი ლინიეტ ჯორჯიას აძლევს შემდეგი სახის საგადასახადო შეღავათებს:

- საერთაშორისო კომპანიაში დაქირავებით მუშაობის შედეგად მიღებული შემოსავალი 5 პროცენტით იბეგრება.
- საერთაშორისო კომპანიის მიერ გაცემული დივიდენდი გადახდის წყაროსთან არ იბეგრება და დივიდენდის მიმღები პირის ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება.
- საერთაშორისო კომპანიის მოგების გადასახადის განაკვეთი 5 პროცენტია.
- საერთაშორისო კომპანია თავისუფლდება ქონების (მიწის გარდა) გადასახადისგან, თუ ეს ქონება განკუთვნილია ან გამოიყენება საქართველოს მთავრობის დადგენილებით ნებადართული საქმიანობის განსახორციელებლად.

4. ძირითადი საშუალებები

	ოფისის აღჭურვილობა	კომპიუტერული აღჭურვილობა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ჯამი
შექნები 2022	35,870	224,012		259,881
გასვლები 2022	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	35,870	224,012	-	259,881
შექნები 2023	136,461	126,785	32,394	295,639
გასვლები 2023	(34,318)	(121)		(34,438)
31 დეკემბერი 2023	138,013	350,676	32,394	521,082
შექნები 2024	13,584	78,301	-	91,885
გასვლები 2024	(6,079)	(4,051)	-	(10,129)
31 დეკემბერი 2024	145,517	424,926	32,394	602,838
დაგროვილი ცვეთა				
დაგროვილი ცვეთა 01.01.2022	-	-	-	-
ცვეთა 2022	3,224	11,988		15,212
გამოკლებული გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა 2022	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	3,224	11,988	-	15,212
დაგროვილი ცვეთა 01.01.2023	-	-		-
ცვეთა 2023	25,174	57,550	4,470	87,193
გამოკლებული გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა 2023	(6,815)	-		(6,815)
31 დეკემბერი 2023	21,583	69,538	4,470	95,590
დაგროვილი ცვეთა 01.01.2024	-	-		-
ცვეთა 2024	28,425	77,676	6,492	112,593
გამოკლებული გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა 2024	(1,732)	(1,485)	-	(3,216)
31 დეკემბერი 2024	48,276	145,729	10,962	204,967
წმინდა საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი 2022	32,646	212,024	-	244,669
31 დეკემბერი 2023	116,430	281,138	27,924	425,492
31 დეკემბერი 2024	97,241	279,197	21,432	397,871

5. წინასწარ გადახდები და სხვა მოკლევადიანი აქტივები

ქართული ლარი	წელი 2024	წელი 2023
წინასწარ გადახდილი ოფისის იჯარა	100,627	100,627
ავანსად გადახდილი მარკეტინგული მომსახურების თანხები	1,857	45,763
სხვა ავანსად გადახდები თანხები	32,439	28,160
სულ ავანსები	134,923	174,550

კომპანიამ შეიძინა გარკვეული სერვისები/პროდუქცია როგორც რეზიდენტი ისე არარეზიდენტი მომწოდებლებისგან. საანგარიშო პერიოდის ბოლოს, გადახდილი ავანსები მოიცავს წინასწარ გადახდებს რეზიდენტ და არარეზიდენტი მომწოდებლებისთვის.

6. ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

ქართული ლარი	წელი 2024	წელი 2023
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	145,102	59,962
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	477,335	241,938
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	622,438	301,900

ფული უცხოურ ვალუტაში ბანკში წარმოდგენილია აშშ დოლარში (170,062.92 USD) და ევროში (0.9 EUR).

7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები აღიარებულია ტრანზაქციის ფასით. ყველა სავაჭრო ვალდებულება ნორმალური საკრედიტო პირობებით არის განსაზღვრული და დამატებითი პროცენტი არ ერიცხება.

ქართული ლარი	წელი 2024	წელი 2023
სავაჭრო ვალდებულებები	2,652	30,683
სხვა ვალდებულებები	4,481	
მთლიანი სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7,133	30,683

სავაჭრო ვალდებულებები - მოიცავს ვალდებულებას ქართული კომპანიებისგან შეძენილი სერვისებიდან/პროდუქტებიდან შესაბამისი პერიოდის ბოლოს.

სხვა ვალდებულებები - მოიცავს ვალდებულებას საპენსიო სააგენტოს მიმართ

8. სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ქართული ლარი	წელი 2,024	წელი 2,023
ხელფასები და თანამშრომლის სხვა სარგებელი	5,142,231	4,568,949
მარკეტინგის ხარჯი	437,079	380,386
იჯარის ხარჯი	390,437	368,121
სამივლინებო ხარჯი	192,618	124,616
საპენსიო ხარჯი	97,739	78,459
საკონსულტაციო ხარჯი	94,270	75,841
საოფისე ხარჯი	38,098	140,233
ტელეკომუნიკაცია	19,521	14,128
სხვა საგადასახადო ხარჯი	5,881	18,783
სხვა ხარჯები	369,904	463,589
სულ სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6,787,778	6,233,105

9. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ აღგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

10. ფინანსური რისკის ფაქტორები

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკს ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების გამო და კონკრეტულად სავალუტო, საპროცენტო განაკვეთისა და სხვა ფასთან დაკავშირებული რისკებს, რომელიც გამოწვეულია, როგორც საოპერაციო, აგრეთვე, საინვესტიციო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანია განახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. აქედან გამომდინარე, წარმოიშობა სავალუტო კურსის მერყეობასთან დაკავშირებული რისკი.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მერყეობამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან მისი საქმიანობის შედეგებზე.

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ კომპანია არ ექვემდებარება მატერიალური საპროცენტო განაკვეთის რისკს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვალდამდგარი ვალდებულებები.

კომპანია ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა მან დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესო ვალდებულება.